



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები **2018** წელი



31.07.2019

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

31.07.2019


ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები (2018 წელი)

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებდა 271 საავადმყოფო, 16.0 ათასი საწოლთა ფონდით (2017 წელს 15.1 ათასი). საავადმყოფოში დაყოვნების მაჩვენებელმა შეადგინა 4.9 დღე (2017 წელს - 5.2 დღე), ხოლო დატვირთვამ - 187.2 დღე (2017 წელს - 180.5 დღე).

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობამ 2283 შეადგინა. აღნიშნულ დაწესებულებებში ექიმთან მიმართულების რიცხვი წლის განმავლობაში 12 260 ათასს გაუტოლდა, რაც 6.7 პროცენტით მეტია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულია 31.4 ათასი ექიმი (ძირითადი პერსონალი), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 3 995 ერთეულით (14.6 პროცენტით) აღემატება:

ექიმების რიცხოვნობა, ათასი




2018 წელს, 2017 წელთან შედარებით 0.4 პროცენტით გაიზარდა დასაქმებული საექიმო პერსონალის რიცხოვნობა და 18 075 კაცი შეადგინა:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


31.07.2019

საექთნო პერსონალის რიცხოვნობა, კაცი



2018 წელს, წინა წელთან შედარებით საქართველოში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა 1.9 პროცენტით გაიზარდა. ბოლო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი მაქსიმალურ ნიშნულს 2015 წელს აღწევდა:

რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა პირველად დადგენილი დიაგნოზით, ათასი




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

31.07.2019

2017 წელთან შედარებით, პირველად დადგენილი დიაგნოზით მოსახლეობის ავადობა, დაავადებათა ძირითადი ჯგუფების უმეტესობაში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების რაოდენობა გაიზარდა 14.1 პროცენტით, სიმსივნეების - 10.3 პროცენტით, საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობების - 30.7 პროცენტით, კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობების - 5.6 პროცენტით, ძვალ-სახსართა სისტემის და შემაერთებელი ქსოვილების ავადმყოფობების - 5.6 პროცენტით, შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობების - 3.8 პროცენტით, ორსულობის, მშობიარობის და ლოგინობის ხანის - 14.1 პროცენტით, პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობის - 57.2 პროცენტით, თანდაყოლილი ანომალიების - 7.4 პროცენტით, ხოლო ტრავმები, მონამვლები და გარეშე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები გაზრდილია 53.5 პროცენტით.

ავადობის 20 ძირითადი ჯგუფიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სუნთქვის ორგანოების (რომელზეც მოდის დაავადებათა 32 პროცენტი), ასევე საჭმლის მომნელებელი სისტემისა (17 პროცენტი) და სისხლის მიმოქცევის სისტემის (8 პროცენტი) ავადმყოფობები, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

მოსახლეობის ავადობის სტრუქტურა, პირველად დადგენილი დიაგნოზით, 2018 წელს



საკონტაქტო პირები:

ირმა გვილავა, ტელ : (+995 32) 236 72 10 (608)

Fax: (+995 32) 236 72 13. E-mail: igvilava@geostat.ge